ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 226 (18768) ᲨᲐᲑᲑᲐᲗᲘ, 1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲨᲘ

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲛ მორიგ სხდომაზე განიხილა საკითხი, თუ რა მუშაობას ეწევა სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს იმ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომელთა მიზანია გაუმჯობესდეს ხილბოსტნეული პროდუქციის, ყურძნისა და კარტოფილის წარმოების, დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის ორგანიზაცია. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ხუთწლიანი გეგმის შესრულებისას სამინისტრომ გარკვეული მუშაობა გასწია დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, საცავების მშენებლობისა და ხილბოსტნეულის დამზადების სრულყოფისათვის. გაიზარდა ბოსტნეულისა და ბაღჩეულის წარმოება, ხილბოსტნეულის კონსერვების გამოშვება. რამდენადმე გაუმჯობესდა ხილისა და ბოსტნეულის ვაჭრობა.

ამასთანავე კარტოფილით, ბოსტნეულით, კენკრითა და სხვა პროდუქციით მოსახლეობის მოთხოვნების გასაუმჯობესებლად მიმდინარე მუშაობა, აგრეთვე ამ პროდუქციის ვაჭრობის ორგანიზაცია კვლავინდებურად ჩამორჩება მოსახლეობის მოთხოვნებს. ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრო არ იჩენს ოპერატიულობას დაკისრებული ამოცანების გადაწყვეტაში, დამაკმაყოფილებლად ვერ ახორციელებს ერთიან ტექნიკურ პოლიტიკას დარგში, ვერ ახდენს სათანადო გავლენას საქვეუწყებო ორგანიზაციებში საქმის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ჯერ კიდევ დიდია პროდუქციის დანაკარგები, ურიგდებიან უყაირათობის, სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევებს, ხშირია შემთხვევები, როცა ერთმანეთს არ უთანხმებენ მიწოდებას, არარაციონალურად იყენებენ ტრანსპორტს, მატერიალურ და შრომითს რესურსებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სსრ კავშირის ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრის ნ. ტ. კოზლოვისა და სამინისტროს კოლეგიის ყურადღება მიაპყრო დარგისადმი ხელმძღვანელობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, და დაავალა მათ განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი რათა გაუმჯობესდეს მოსახლეობის მომარაგება კარტოფილით, ბოსტნეულითა და ხილით, ამაღლდეს პროდუქციის ხარისხი, შემცირდეს მისი დანაკარგები. მთელი რიგი სამშენებლო და მანქანათსაშენებელი სამინისტროების ხელმძღვანელთა წინაშე დასახულია ამოცანა უზრუნველყონ ხილბოსტნეულის მეურნეობის ობიექტების დროული ამოქმედება და ამ დარგისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმების წარმოება. რესპუბლიკურ და ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა ორგანოებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ კონტროლი ხილბოტნეულის მეურნეობის საწარმო-ორგანიზაციათა საქმიანობისადმი, უფრო მეტად გაუწიონ მათ პრაქტიკული დახმარება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში, კადრებით განმტკიცებაში, მოსახლეობის მომარაგების თანამიმდევრული გაუმჯობესების ამოცანების შესრულებაში, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობამ დასახა.

იმის გამო, რომ გრძელდება მუშაობა კანონთა კრებულის გამოსაცემად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მოიწონა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი, რომლებიც სსრ კავშირის მოქმედი საფინანსო კანონმდებლობის სრულყოფასთან არის დაკავშირებული.

პოლიტბიუროს სხდომაზე განხილეს მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების, საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის განხორციელების ზოგიერთი საკითხი, აგრეთვე ინფორმაცია სოციალისტურ ეთიოპიაში წარგზავნილი სკკპ დელეგაციის ვიზიტის შედეგების შესახებ.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

"ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ „ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲕᲔᲯᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲬᲐᲡᲐᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ"

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ, ასრულებენ რა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის, მასების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებისათვის. ამასთან შეჯიბრებაში მონაწილეობს სახალხო მეურნეობაში მოსუშავეთა 94 პროცენტზე მეტი. აიზარდა მისი მნიშვნელობა პატიოს ეკონომიური პოლიტიკის ხორციელებაში, წარმოების მათთვაში მშრომელთა ჩაბმაში, რომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებში დასახულია ამოცანა ავამაღლოთ სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობა, გავაძლიეროთ მისი როლი ეკონომიკის ინტენსიფიკაციაში, საწარმოო პოტენციალის უფრო ეფექტიან გამოყენებაში, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა უსწრაფეს დანერგვაში, მშრომელთა შრომითი და სოციალური აქტიურობის განვითარებაში, ამ საფუძველზე სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცების, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფაში. შეჯიბრებისადმი ასალი მოთხოვნები განპირობებულია აგრეთვე სამეურნეო მექანიზმის სრულყოფით, შრომითი კოლექტივების როლის ზრდით, შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმების გავრცელებით, სოციალისტური დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცების აუცილებლობით.

შეჯიბრების დედი შესაძლებლობანი ჯერ კიდევ სრულად არ ხორციელდება მის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა გამო. შეჯიბრების ფორმები ყოველთვის როდი შეესაბამება თანამედროვე ეტაპზე მდგომ ამოცანებს, არცთუ ისე იშვიათად შეჯიბრებულთა მეცადინეობის მიზანია, უმთავრესად, როდესაც ბრივი მაჩვენებლების უზრუნველყოფა, შუალედური შედეგების მიღწევა. შეჯიბრების ორგანიზატორებს ხშირად მხედველობიდან რჩებათ კოლექტივები და მუშაკები, რომლებიც მუშაობენ ძალიერ უკეთესი შედეგებს, სჭირდებიან საშუალო შედეგებს, შედეგების შეჯამებისას ზოგჯერ არ ვლინდება ჯეროვანი მომთხოვნელობა, საკმარისი ეფექტიანობით არ არის გამოყენებული მორალური და მატერიალური წახალისების ღონისძიებანი.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების დებულებათა საფუძველზე გაუმჯობესონ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, აამაღლონ მისი ქმედითობა მეთვრამეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებული შესრულებისათვის, სასურსათო და ენერგეტიკული პროგრამების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

შეჯიბრებულთა მთავარი ყურადღება უნდ მიაპყრონ იმას, რომ დაიჩქარონ შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, გაუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, გადიდონ წარმოების მოცულობა, დროულად შესრულონ მიწოდებანი ხელშეკრულებებთა და შეკვეთებით, დაიჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, უკეთ გამოიყენონ საწარმოო სიმძლავრეები, ნედლეული, ენერგია, სამუშაო დრო, დაზოგონ ყველა სახეობის რესურსები, განამტკიცონ საგეგმო და შრომის დისციპლინა. ყოველნაირად გააფართოონ შრომითი კოლექტივების მოძრაობა შემხვედრი გეგმების მიღებისათვის, იმის შესანარჩუნებლად, რაც დააკლდა დაწესებულ დავალებებს მიმდინარე ხუთწლედის პირველ წლებში. შეჯიბრებამ ხელი უნდა შეუწყოს ხელფასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების უპირატეს ზრდას, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას.

ქვაკუთხედად უნდა მივიჩნიოთ სოციალისტური შეჯიბრების მოწყობა უშუალოდ საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო, აგროსამრეწველო გაერთიანებებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, უფრო სრულად გავითვალისწინოთ სხვადასხვა კატეგორიის მშრომელთა შრომითი საქმიანობის თავისებურებანი, სრულგაოთ საწარმოო ბრიგადების შეჯიბრება სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, კოლექტივისტური ურთიერთობის, ბრიგადის თითოეული წევრის ინიციატივის განვითარების საფუძველზე. ყოველნაირად დავუჭიროთ მხარი შრომითა თანამეგობრობისა და ურთიერთდახმარებას, გავავრცელოთ მომიჯნავე კოლექტივების შეჯიბრების გამომდგარი გამოცდილება.

მტკიცედ უნდა ვიღაწოთ, რომ სოციალისტური შეჯიბრების ფორმები შეესაბამებოდეს დროის მოთხოვნებს, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ღონისძიებებს, რომლებიც ხორციელდება. განვავითაროთ შეჯიბრების შემოქმედებითი ხასიათი, მისი ფორმები არ რჩებოდეს ერთფეროვნებისა და პარალელიზმი, შაბლონური მიდგომა. დროულად შეენიშნოთ, მხარი დაგუჭიროთ და გავავრცელოთ ყველა სასარგებლო წამოწყება, აღმოვფხვრათ ყოველივე დრომოჭმული, ეკონომიკურად მიზანშეუწონელი. შეჯიბრების პირობები და მისი მაჩვენებლები, ხაზგასმით არის აღნიშნული დადგენილებაში, უნდა იყოს მკაფიო, ზუსტი, მიზნად ისახავდეს მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ხელს უწყობდეს ადამიანთა შრომითი აქტიურობის ზრდას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამეურნეო ხელმძღვანელებს მოსთხოვა განახორციელონ ღონისძიებანი სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისა და მისი გამარჯვებულების წახალისების პრაქტიკის სრულყოფისათვის, განსაკუთრებული უყურადღება მიაპყრონ ხარისხობრივი აანგებლების მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ამოცანების შესრულებას, სოციალური ამოცანების გადაწყვეტას. უზრუნველყონ, რომ გაეფთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების მუშაობა ფასდებოდეს ზრდის მიღწეული ტემპის, დავალებათა დაძაბულობის დოიის, წლისა და ხუთწლედის დამდეგიდან ზრდის შედეგი ნეგმების შესრულების გათვალისწინებით.

ამაღლონ სოციალისტურ ვალდებულებათა როლი და მნიშვნელობა ყველა მაჩვენებლის მიხედვით გეგმების შესრულებისათვის, შინაგანი რეზერვების გამოძებნისა და გამოყენებისათვის მეზრომელთა დარაზმვაში. გააუმჯობესონ ვალდებულებათა ეკონომიკური დასაბუთება, სისტემატურად შეამოწმონ მათი რეალიზაცია, მიაღწიონ სიტყვისა და საქმის ერთიანობას.

ამაღლონ მომთხოვნელობა შეჯიბრების გამარჯვებულთა განსაზღვრის დროს. უზრუნველყონ, რომ ახალისებდნენ ნამდვილად სიუკეთესო კოლექტივებსა და მუშაკებს, რომლებიც გვიჩვენებენ საწარმოო და სოციალური ამოცანების ეფექტიანი გადაწყვეტის, ნოვატორული მიდგომის მაგალითს. განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ჩამორჩენილების დაწინაურება, თითოეულ სამუშაო ადგილზე მაღალნაყოფიერი შრომის პირობების შექმნა.

საჭიროა, რომ შეჯიბრების შედეგები ჯამდებოდეს ყველგან დროულად, საქმიან ვითარებაში, მშრომელთა აქტიური მონაწილეობით. თვალყური უნდა მიადევნონ იმას, რომ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, შეჯიბრების სხვა მონაწილეებს არ მოეთხოვოს დიდი რაოდენობის სხვადასხვა მონაცემები, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის სახელმწიფო სტატისტიკით. მიზანშეწონილად ჩითვალა მოწესრიგდეს ენგარიშგებლობა სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე.

აღინიშნა, რომ საჭიროა ამაღლდეს შეჯიბრების მონაწილეთა მორალური და მატერიალური სტიმულირების ეფექტიანობა, დაჩრაზმველი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ღირსეულად შეაფასონ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

"ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ „ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ, ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲕᲔᲯᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲬᲐᲡᲐᲚᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ"

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე განიხილეს 1982-1983 სასწავლო წლის შედეგები და უმაღლესი სკოლის კომუნისტთა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნების, პლენუმზე ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად. მოხსენება გააკეთა ფაკულტეტის დეკანმა ნ. შ. ასათიანმა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მეორე მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

აღინიშნა, რომ გასულ სასწავლო წელს ფაკულტეტზე სერიოზული მუშაობა გაწეული სკკპ XXVI ყრილობის მიერ უმაღლესი სკოლის წინაშე დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის. ამის შედეგად ამაღლდა ლექციებისა და სემინარულ მეცადინეობათა იდეურ-თეორიული დონე, გაუმჯობესდა კათედრების სასწავლო-პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, განმტკიცდა დისციპლინა. მაღალი შეფასება დაიმსახურა სტუდენტთა მუშაობამ მესამე შრომითი სემესტრის პერიოდში.

ფაკულტეტის მასწავლებლებმა და სტუდენტებმა დიდი წვლილი შეიტანეს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებაში.

ამასთან, როგორც ორატორებმა აღნიშნეს, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე ჯერ კიდევ ყოველთვის როდი აკმაყოფილებს დღევანდელობის გაზრდილ მოთხოვნებს. ყველა პროფესორი და მასწავლებელი საკმარისად აქტიურად არ ეწევა ამ მუშაობას. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ინდივიდუალურ მუშაობას სტუდენტებთან, უწინარეს ყოვლისა, პირველკურსელებთან, რომლებსაც ეს განსაკუთრებით სჭირდებათ. სუსტად ებმენ სტუდენტებს სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა დასახა იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესების ქმედითი გზები, რომელიც მოიცავს საქმიანობის ყველა სფეროს და მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ამოცანებს. ისტორიკოს მეცნიერთა მოვალეობაა წვლილი შეიტანონ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში, უზრუნველყონ ფართო მასების იდეურ-პოლიტიკური შეგნების დონის ამაღლება.

განსაკუთრებული ადგილი, როგორც კრებაზე გაისვა ხაზი, ამ ეტაპზე განეკუთვნება ისტორიკოსთა ნაშუშევრებს, რომლებიც ეძღვნება გეორგიევსკის ტრაქტატს. მათი ნაშრომები განმარტავენ ამ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული აქტის არსს, რომელმაც განსაზღვრა საქართველოს ბედი და დაუკავშირა იგი რუსეთს, რუსეთის კულტურის საუკეთესო წარმომადგენლები. მწერლები და მხატვრები, მსახიობები და ხუროთმოძღვრები ილაპარაკებენ რუსეთის სადგ დღეებსა და დღესასწაულებზე, შესანიშნავი ადამიანების სისხლსავსე ცხოვრებისა და შემოქმედებითი აღმფრენის შესახებ.

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილენი იგრძნობენ ჩვენი რესპუბლიკის შრომითს მაჯისცემას, გაეცნობიან ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის საქმეებსა და გეგმებს, ნახავენ თუ როგორ ასახამს ხორცს მშრომელი საქართველო პარტიის XXVI ყრილობის წინასწარდასახულობებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება და ჩვენი სამშობლოს ძლიერების განმტკიცება.

თუმცა მსოფლიოში ახლა ვითარება მეტად დაძაბულია, მაგრამ ჩვენ, როგორც ეს განაცხადა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურმა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა, შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ — ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა ისეთ დონეზეა, რომელიც უზრუნველყოფს ყოველი აგრესორისთვის საკადრისი პასუხის გაცემას.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-8 ᲒᲕ.).

ᲡᲐᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲝ ᲓᲐ ᲨᲗᲐᲛᲑᲔᲭᲓᲐᲕᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ხოდაბუნების ოქროსფერი თავთავები და ქართული მიწის ქარვისფერი ყურძნის მტევნები, რომლებითაც სახელმწიფო ფილარმონიის დიდი დარბაზის სცენა მოერთოთ, წარმოდგა 30 სექტემბერს მაყურებელთა წინაშე რუსი და ქართველი ხალხების დიდი ძმობის შთამბეჭდავ სიმბოლოდ. აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საქართველოში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა.

კონცერტს, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, დაესწრნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, ჯ. ი. პატიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ნ. ა. ჯითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ე. კ. შარტავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების სექტორის გამგე ო. ტ. ივანოვი, რუსეთის სფს რესპუბლიკის დელეგაციის წევრები.

კონცერტის დაწყების წინ მოძმე რუსეთის კულტურის წარმომადგენლებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით გულთბილად მიესალმა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ე. ჩერქეზია.

დღეს, — თქვა მან, — საქართველო მასპინძლობს რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეებს. ჩვენს მიწა-წყალზე დადგა დიდი და სახელოვანი რუსული კულტურის ბეშმარიტი დღესასწაული, რომელიც წინ უძღვის გეორგიევსკის ტრაქტატის— რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ისტორიული მანიფესტის 200 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმს.

ყოველი დღე მკაფიოდ და უცილობლად მოწმობს, თუ როგორ ცოცხლობს, ვითარდება და ახალი შინაარსით ივსება რუსეთისა და საქართველოს სულიერი ერთიანობის ტრადიციები.

სამი თვის წინათ მოსკოვი, ლენინგრადი, სვერდლოვსკი, ვლადიმირი და სტავროპოლი მასპინძლობდნენ ქართული კულტურის წარმომადგენლებს. და ჩვენ — უკვე შერამდენეჯერ!—შევიგრძენით რუსული სულის სადიადე და სიუხვე, ცხოველი ინტერესი ქართველი ხალხის სულიერი ღირებულებებისადმი. არასოდეს არ დაგვიწყდება გულითადი შეხვედრები, ნამდვილი რუსული სტუმართმოყვარეობა, რომელიც ჩვენს წარგზავნილებს გაუწიეს.

ახლა ბედნიერი შესაძლებლობა მოგვეცა სიყვარულს სიყვარულით, სტუმართმოყვარეობას სტუმართმოყვარეობით ვუპასუხოთ. დღეს ჩვენთან სტუმრად არიან ქების ხელოვნების ოსტატები თავიანთ ქართველ ძმებთან ერთად გვირგვინით ამკობენ დიდი ლენინის ძეგლს. ალისფერ ლენტზე წარწერაა: „ვ. ი. ლენინს საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებისაგან“.

გრანიტის კვარცხლბეკზე ცინცხალ ყვავილებს აწყობენ.

• • •

ᲘᲛᲘᲡᲐᲕᲔ დღეს საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებმა პატივი სცეს სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დალუპული ქართველი ხალხის სახელოვანი შვილების ხსოვნას. თბილისის გამარჯვების პარკში მათ გვირგვინით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

ქართულ ხალხურ „იავნანას“ ცვლის რახმანინოვის „წყნარი მელოდია“, რომელსაც ასრულებს ა. ა. იურლოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური რუსპუბლიკური რუსული საგუნდო კაპელა. ისმის ომის წლების სიმღერები. მათ საბოლოო აკორდად პარკში ჟღერს სიმღერა „გამარჯვების დღე“.

მარმარილოს დაფაზე ალისფრად ელვარებს თაგბეული.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიებში მონაწილეობდნენ რუსეთის სფს რესპუბლიკის დელეგაცია რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ე. მ. ჩეხარინის მეთაურობით, ამხანაგები გ. დ. გაბუნია, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, თ. ი. მოსაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე, მომძე რესპუბლიკების შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები, პასუხისმგებელი პირტული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. (საქინფორმი).

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: საქართველოში რსფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს გვირგვინი მიაქვთ ვ. ი. ლენინის ძეგლთან. Გ. ᲒᲔᲜᲔᲒᲘᲣᲠᲘᲡ ფოტო.

ᲛᲐᲓᲚᲘᲔᲠᲘ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲓᲦᲔ

30 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ, საქართველოს სს რესპუბლიკაში გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების საზეიმო გახსნის დღეს, მისი მონაწილენი მოვიდნენ საქართველოს დედაქალაქის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ მოედანზე, რათა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის წინაშე საყოველთაო-სახალხო სიყვარულისა და ღრმა პატივისცემის ვალი მოეგვიანებინა.

... დილის ცხრა საათია. ბელადის ძეგლი მორთულია მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო დროშებით. საპატიო ყარაულში დგანან პიონერები. მოედანზე დიდებულად ღიღრს უკავდავ „აპასიონატის“ მელოდია. ცნობილი მწერლები და კომპოზიტორები, მხატვრები და მსახიობები, რეჟისორები და არქიტექტორები, სახელგანთქმული მოსკოველი და ლენინგრადელი, რუსეთის ფედერაციის სხვა ქალაქების ხელოვნების ოსტატები თავიანთ ქართველ ძმებთან ერთად გვირგვინით ამკობენ დიდი ლენინის ძეგლს. ალისფერ ლენტზე წარწერაა: „ვ. ი. ლენინს საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებისაგან“.

• • •

ᲐᲛᲐᲮ. ოთარ ილიას ძე ლოლაშვილი, დაბადებული 1924 წელს, ქართველი, სკკპ წევრია 1947 წლიდან, აქვს უმაღლესი ტექნიკური და პარტიულ-პოლიტიკური განათლება, მშენებელი ინჟინერია.

შრომითი საქმიანობა ამხ. ო. ი. ლოლაშვილმა დაიწყო 1943 წელს ამიერკავკასიის რკინიგზაზე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ. აქ იგი მუშაობდა გურჯაანის სადგურის საეკმო. უბნის ქმიმიატორად, ამიერკავკასიის რკინიგზის სანიტარიული ინსპექციის სანინსტრუქტორად, 1944-1949 წლებში სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დღის განყოფილებაზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ამხ. ო. ი. ლოლაშვილი მუშაობდა პარტიულ ორგანოებში: საქართველოს კომპარტიის გარეუბნის რაიკომის ინსტრუქტორად, კასპის რაიკომის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგედ, თბილისის საოლქო კომიტეტის მძიმე მრეწველობის განყოფილების ინსტრუქტორად, გამგის მოადგილედ.

1953-1963 წლებში ამხ. ო. ი. ლოლაშვილი მუშაობდა საქართველოს კომპარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის მდივნად, მეორე მდივნად, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს პარტკომის მდივნად, საქართველოს კომპარტიის ოქტომბრის რაიკომის პირველ მდივნად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული -ორგანოების განყოფილების გამგედ.

1959 წელს ამხ. ო. ი. ლოლაშვილმა დაამთავრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლის დაუსწრებელი განყოფილება.

1963-1972 წლებში ამხ. ო. ი. ლოლაშვილი არჩეულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ამხ. ო. ი. ლოლაშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, ორი შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ Ს

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

ფასთან თითოეულის შრომითი წვლილი, არ დაუშვან გათანაბრება. უფრო აქტიურად გამოიყენონ ბრიგადების, უბნების, სამმეროების, განყოფილებების, ფირმების კოლექტიური წახალისების მრავალფეროვანი ფორმები. უფრო სრულად გამოიყენონ მატერიალური წახალისების ფონდისა და ხელფასის ფონდის სახსრები შეჯიბრების შედეგების მიხედვით მუშაკების პრემირებისათვის. გაუმჯობესონ სამახსოვრო სანუქრების, სიგელების, ვიმპელების, დიპლომების, მოწმობებისა და მორალური წახალისების სხვა საშუალებათა ხარისხი, მხატვრული შესრულება.

პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, აღნიშნულია დადგენილებაში, აქტიური მუშაობა ჩაატარონ ადგილებზე, ეფექტიანად ხელმძღვანელობენ ეკონომიკურ შეჯიბრება

უნგრელი სტუმრები თბილისში

29 სექტემბერს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მისი თავმჯდომარე, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე ა. აპრო. დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დეპუტატები კ. კოვაჩი, შ. ჩერნა, ლ. მეზეი, მ. ვამოში, გ. მატიუში.

დელეგაციასთან ერთად თბილისში ჩამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში შ. რაინაი.

ქვეყანაში მოგზაურობისას დელეგაციას ახლავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ლ. ფლორენტიევი.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშებით მორთულ თბილისის აეროპორტში დელეგაციას დახვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. გურგენიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები რ. კონცელიძე, ნ. ნეფედვი, ნ. ფოფხაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სექმეთა მმართველი მ. ჭიჭინაძე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. გორდეაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სექმეთა მმართველის მოადგილე ჰ. ჭიპაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო-საკონსულო განყოფილების გამგე ნ. რუხაძე.

* * *

29 სექტემბერს საქართველოში მყოფი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დელეგაცია უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების თავმჯდომარის ა. აპროს მეთაურობით ვიზიტად იყო საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გოლაშვილი მიესალმა სტუმრებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა საქართველოს შრომელები ამაყობენ მომძმე უნგრელი ხალხის წარმატებებით, რომლებსაც მან მიაღწია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით.

აპროს დროს პ. გოლაშვილმა, აპროსა და დელეგაციის წევრებმა გააცნეს რესპუბლიკის მშრომელთა მიერ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოპოვებული წარატებები ეკონომიკის, მეცნიერისა და კულტურის დარგში, რესპუბლიკის საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სტრუქტურა და საქმიანობა.

მხ. პ. გოლაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის პარლამენტართა შეხვედრები აქტუალური საერთაშორისო პრობლემების განხილვის, ხელისუფლების არჩევითი ორგანოების საქმიანობის, პოლიტიკური სისტემისა და სოციალისტური დემოკრატიის განვითარებისა და სრულყოფის გამოცდილების გაზიარების კარგ შესაძლებლობებს იძლევა.

მხ. ა. აპრომ უნგრეთის დელეგაციის სახელით მადლობა გადაიხადა გულითადი მასპინძლობისათვის, რომელსაც მას უწევენ საქართველოში. იგი უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ი. კადარის სახელით მიესალმა საქართველოს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, რესპუბლიკის შრომელებს.

საუბარში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე თ. ლაშქარაშვილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ლ. ფლორენტიევი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები რ. კონცელიძე, ნ. ნეფედვი, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ა. ბარამიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ჭიჭინაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილე ჰ. ჭიპაშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო-საკონსულო განყოფილების გამგე ნ. რუხაძე.

უნგრეთის მხრივ — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დეპუტატები კ. კოვაჩი, შ. ჩერნა, ლ. მეზეი, მ. ვამოში, გ. მატიუში, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში შ. რაინაი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ტერიტორიული განყოფილებეს გამგე ი. ტოტი, უნგრეთის-სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე ო. სუროვსკი.

ამავე დღეს სტუმრები ეცნობოდნენ რესპუბლიკის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დელეგაცია განაგრძობს საქართველოს ცხოვრების გაცნობას.

(საინფორმრმი)

სასიხარულო და შთამბეჭდავი დღესასწაული

(დასასრული)

სწორედ ამიტომაც ასე განვამტკიცებთ ჩვენს მეგობრობასა და ძმობას —ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერების საწინდარს, სწორედ ამიტომაც გულდაჯერებით შევყურებთ მომავალს.

და ამ თვალსაზრისით რუსეთის ფედერაციის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები მკაფიო და ნათელი გამოვლინებაა სსრ კავშირის ხალხთა ერთიანობის და სიმძლავრისა, რომლებიც ერთსულოვნად უჭერენ მხარს და იზიარებენ მსოფლიოსა და კაცობრიობის სვე-ბედისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული განცხადების ყოველ სიტყვას, თითოეულ ფრაზას.

ძვირფასო ჩვენო სტუმრებო! საქართველო მოუთმენლად გელით, რათა დატკბეს თქვენი ხელოვნებით.

საქართველო მოუთმენლად მოგელოდათ, რათა ერთხელ კიდევ დამტკბარიყო თქვენი მადლიანი ოსტატობით, კვლავ და კვლავ დასწფებოდა იმ დიდ უშრეტ მდინარეს, რომელსაც სახელად რუსული ლიტერატურა, რუსული ხელოვნება ჰქვია.

გვინდა ვისარგებლოთ დღეგანდელი მოვლენით და კიდევ ერთხელ მოვახსენოთ განსაკუთრებული მადლობა რუს ხალხს, რომლის უანგარო დახმარება რომ არა, საქართველო ვერ დარჩებოდა მსოფლიო ცივილიზაციის ასპარეზზე, ვერ დაადგებოდა კომუნისტური მშენებლობის გზას.

ნება მიბოძეთ, შევასრულო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მთავრობის სამადლობელი სიტყვა.

ამ ფესტივალზე ერთად ერთ ოთხ ადამიანს ი. ვ. ანდროპოვის განცხადება, რომელიც ამხილებს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მილიტარისტულ კურსს, შეიცავს მტკიცე მოწოდებას მსოფლიოს ხალხებისადმი ბოლო მოუღონ ამერიკის იმპერიალიზმის პროვოკაციებს, შეაჩერონ შეუკავებელი გამლეგული შეიარაღება.

საბჭოთა ადამიანები, იწონებენ და მხარს უჭერენ რა ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, თავიანთი აღმშენებლობითი შრომით განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას და უზრუნველყოფენ მის აყვავებას.

ორასი წლის წინათ რუსი და ქართველი ხალხების შემადუღებელი მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე უმაგალითოდ განმტკიცდა. ხალხი ამბობს: მეგობრობას მრავალი ფრთა აქვს, კანონი კი ერთი—ერთგულებაო. სამართლიანად ვამაყობთ, რომ ჩვენ ასეთი ერთგული, ნიჭიერი, ძლიერი, ბრძენი, ლამაზი ძმა გვყავს. ასეთი ძმების წყალობით ჩვენი საბჭოთა ოჯახი მუდამ მტკიცე იქნება.

ჩვენთვის ღირსსახსოვარი და ძვირფასია საქართველოს წარმომადგენლებთან შეხვედრები, რომლებიც ამა წლის ივნისში რუსეთის ფედერაციაში გაიმართა. იმ დღეებში უფრო ახლოს გავიცანით ქართველი ხალხის დიადი სულიერი სიმდიდრე.

აქ წარმოთქმული გულითადი, შთამბეჭდავი სიტყვებისათვის, თქვენი მეგობრული მისალმებისათვის ღრმა მადლიერების გრძნობით გვინდა გითხრათ დღეს, რომ დიდად სასიხარულოა იყო ასეთი გულღია მასპინძლების სტუმარი.

კიდევ ერთხელ, ნება მიბოძეთ, რუსეთის ფედერაციის მშრომელთა სახელით უგულითადესად მივესალმო და ყოველივე საუკეთესო ვუსურვო ქართველ ხალხს, ვუსურვო ბედნიერება და აყვავება ჩვენი ქვეყნის მომძე ხალხების ერთსულოვან ოჯახში.

დაე, დღითი დღე მტკიცდებოდეს რუსეთის ფედერაციისა და საბჭოთა საქართველოს ხალხების ჩვენი დიადი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყველა ხალხის მეგობრობა.

რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ნიშნად აბნანაგმა ე. მ. ჩეხარინმა საჩუქრად გადმოგვცა რუსეთის სფსრ სახალხო მხატვრის პ. პ. ოსოვსკის სურათი „მზე წითელი მოედნის თავზე“.

ღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები. იწყება სადღესასწაულო კონცერტი. ყოველივე საუკეთესო, რითაც განთქმულია საბჭოთა რუსეთის ხელოვნება, აქ იყო წარმოდგენილი. კონცერტი გახსნა აკადემიური ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბერიოზკას“ ლალმა და ნარნარმა რუსულმა ქალთა ფერხულმა. დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს ცნობილ კოლექტივს, რომელმაც მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი რუსულ ხალხურ ცეკვას.

რუსი და ქართველი ხალხების სისხლით ნათესაობაზე უმტკიცესი ძმობის საგალობად გაისმა სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ლუდმილა ჩურსინასა და სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის მიხეილ ულიანოვის დიალოგი.

რუსულ ხალხურ სიმღერას „შენ, ალიონო“ მღერის სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი ლუდმილა ზიკინა. მისი მოსმენისას დარბაზში მყოფთ თითქოს თვალწინ წარმოუდგათ რუსეთის წყნარი გარიჟრაჟი, იგრძნეს რუსი ხალხის გენიით შექმნილი მელოდიების სილაღე და სიღრმე. მომღერალი გამოვიდა ანსამბლ „როსიის“ თანხლებით, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს.

სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სიმფონიური ორკესრის შესრულებით, რომელსაც დირიჟორობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი იური სიმონოვი, საზეიმოდ ღერეს დიმიტრი შოსტაკოვიჩის „სადღესასწაულო უვერტიურა“, ორკესტრთან ერთად გამოვიდნენ რუსეთის სფსრ დამსახურებული არტისტი, საერთაშორისო კონკურსების და ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, პიანისტი ვლადიმერ კრაინევი, რომელმაც შეასრულა ტხონ ხრენიკოვის მესამე საფორტეპიანო კონცერტის ფინალი, და საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, ქალაქ ნოვოსიბირსკის სპეციალური სამუსიკო სკოლის მოსწავლე, მეგვიოლინე ვადიმ რეპინი, რომელმაც შეასრულა პაგანინის მეორე კონცერტის ფინალი.

სადღესასწაულო კონცერტის მრავალფეროვან პალიტრაში ლამაზად იყო ჩაწნული სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ლენინური პრემიის ლაურეატის ეგგენი ნესტერენკოს, ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, რუსეთის სფსრ გლინკას სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ირინე ბოგაჩოვასა და არფების კვარტეტის, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის იური სიმონოვი, ანსამბლ „ბერეზკის“ ანსამბლის „ბერიოზკას“ ლალმა ანა ნარანმა რუსულმა ქალთა ფერხულმა. დარბაზი დიდხანს უკრავდა ტაშს ცნობილ კოლექტივს, რომელმაც მთელ მსოფლიოს ტატობითა და შთაგონებით შეასრულეს არიები ოპერებიდან „ივანე სუსანინი“ და „პიკის ქალი“, ხალხური და თანამედროვე მელოდიები.

მთელი მსოფლიო იცნობს რუსულ ხალხურ სიმღერას „მწუხრის ზარები“, გულში ჩამწვდომად შეასრულა იგი ა. იურლოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა რუსულმა საგუნდო კაპელამ. ზარების წკრიალი შეცვალა ქართულმა ხალხურმა მრავალხმიანმა სიმღერამ „მერცხალი“, რომელიც ქართულად და რუსულად შეასრულეს.

რუსული ბალეტის დიდება, რომელმაც მთელი მსოფლიო დაატყვევა, კიდევ ერთხელ დაადასტურეს ამ საოჯახო ლენინგრადის კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის ბალეტის სოლისტმა, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა გალინა მეზენცევამ, სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის ბალეტის სოლისტებმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ეკატერინე მაქსიმოვამ და ლენინური პრემიის ლაურეატმა ვლადიმერ ვასილიევმა.

ქართველი ხალხისადმი სიყვარულის ახსნად გაისმა სოციალისტური შრომის გმირის, პოეტ მიხეილ დუდინის მიერ წაკითხული საკუთარი ლექსები.

...კონცერტის ფინალი. სცენის სიღრმეში ჩანს კრემლის სილუეტი, ალისფრად ფრიალებს რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები. ღერს გიორგი სვირიდოვის „პათეტიკური ორატორია“, ისმის ვლადიმერ მაიაკოვსკის მგზნებარე სტრიქონები. სცენაზე შემოდის სადღესასწაულო კონცერტის ყველა მონაწილე. საბჭოთა ხელოვნების მომავალმა — პერმის ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლემბმ და ქალაქ თბილისის მესამე ექსპერიმენტული სკოლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის სოლისტებმა ყვავილები მიართეს საქართველოში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებს.

დარბაზი ტაშით აჯილდოებს კონცერტის ყველა მონაწილეს და იმათ, ვინც სამარილიანად გაიზიარა მისი დიდი წარმატება— მთავარ რეჟისორს ოლეგ ივანოვს, მთავარ მხატვარს, რუსეთის სფსრ დამსახურებულ მხატვარს იგორ ივანოვს, კონცერტის წამყვანებს — ცენტრალური ტელევიზიის დიქტორებს დინა გრიგორიევას და იური კოველენოვს.

ეს იყო ნამდვილად დაუვიწყარი, შინაარსითა და სულისკვეთებით ინტერნაციონალური, თვით რუსეთისთვის დიდებული წარმოდგენა. ეს იყო სასიხარულო, ლამაზი და შთამბეჭდავი დღესასწაული, რომელმაც თვალსაჩინოდ ასახა რუსი და ქართველი ხალხების, დიადი საბჭოთის ყველა ხალხის სულიერი ნათესაობა.

(საინფორმრმი).

სურათზე: საქართველოს სსრ რესპუბლიკაში რსფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეებმა გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს უცნობი ჯარისკაცის საფლავი თბილისის გამარჯვების პარკში.

ა. რუხაძის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა).

სურათზე: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლში გახსნილი რსფსრ გამომცემლობათა წიგნის გამოფენის დარბაზში.

შ. აივაზოვის ფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა.)

„თქვენი გმირობა შთაგვაგონებს“

ზორს არ არის ის დღე, როცა კოსმოსში შემოქმედებითი მგზავრნებიან გაემგზავრებიან მსახიობები, რეჟისორები, კინემატოგრაფისტები, რათა უწონობის პირობებში გადაიღონ ფილმები, განახორციელონ თეატრალიზებული პროგრამების დადგმები. ასე ფიქრობს სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი, საბჭოთა კოსმოსის გმირი ს. ე. სავიცკაია.

შემოქმედების სხვადასხვა პრობლემებზე დაინტერესებული დიალოგი და აზრთა გაზიარება გაიმართა საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის მასწავლებლებთან და სტუდენტებთან პლანეტის მეორე კოსმონავტი ქალის შეხვედრის დროს. შეხვედრის გახსნისას, უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა ე. ნ. გუგუშვილმა თქვა, რომ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის ექსპოზიციის „ეგიპტა უნიკალური ექსპონატები, რომლებიც რუს და ქართველ ლიტერატორთა ურთიერთობას ასახავს. ამ ექსპონატებს პირველნი გაეცნენ საქართველოში რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეები.

...1925 წელს ს. ესენინის მიერ ტიციან ტაბიძისათვის მიწერილი წერილის ორიგინალი, ხუოჯინი, რომელიც მ. გორკიმ 1898 წელს მეტეხის ციხიდან გამოსვლისას იყიდა და შემდეგ თავის მეუღლეს ე. პეშკოვას აჩუქა, ნ. ზაბოლოცკის, მ. ლუკონინის, ნ. ტიხონოვისა და სხვა გამოჩენილი პოეტების წერილები ქართველი მეგობრებისადმი... დროთა ურღვევი

ვენა. დღეს აქ გაიხსნა ცენტრალურ ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ორმხრივი შემცირების შესახებ მოლაპარაკების მორიგი, 31-ე რაუნდი.

პლენარულ სხდომაზე გამოსვლისას ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა ე. კებლუშემა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლანდელი მომენტის „სიმწვავისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით მოლაპარაკების ახალ რაუნდს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ გამოენახათ ვენის მოლაპარაკებაზე რეალისტური და ურთიერთმისაღები გადაწყვეტანი. კარგა ხანია მომწიფდა საკითხი ამ მოლაპარაკებაზე შეთანხმების მიღწევის შესახებ.

ამას წინათ პოზიტიურად დამთავრებული მაღრიდის შეხვედრის გამოცდილება მოწმობს, რომ მისმა მონაწილეებმა დაძლიეს რა უთანხმოება, შეძლეს მიეღწიათ მორიგებებისათვის. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ მადრიდის მაგალითი გარკვეულ სტიმულს მისცემს ვენასაც.

ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲒᲔᲑᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო დაინტენსიურ გაისმის მოწოდებები აილაგმოს რეიგანის ადმინისტრაციის მიერ გაძლიერებული გამლეგული ბირთვული შეიარაღება.

ბირთვული შეიარაღების გაყინვა აუცილებელია იმიტომ, რომ საქმე ეხება არჩევანს მშვიდობისა და ომს შორის, განაცხადა პოლიტიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორმა რ. ბარნეტმა. გაზეთ „ვაშინგტონ ტაიმსის“ მიერ მოწყობილ ბირთვული შეიარაღების საკითხებზე დისპუტის დროს, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მარტო ამ ღონისძიების განხორციელება ჯერ კიდევ არ იძლევა მტკიცე მშვიდობის დამყარების გარანტიას. ჩვენ გაცილებით უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ, ვინაიდან იარაღის ახალი სისტემების შექმნით მსოფლიო სულ უფრო უახლოვდება მეტისმეტად სახიფათო მომენტს.

რეიგანის ადმინისტრაციის მილიტარისტული კურსის გამო ამერიკის მოსახლეობის დიდი შეშფოთების დადასტურება გახდა საზოგადოებრივი აზრის საერთო ეროვნული გამოკითხვა, რომელიც ერთობლივად მოაწყვეს გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ და ეიბი-სი ტელეკომპანიამ. მისი მონაცემებით, ამერიკის შეერთებული შტატების ერთისამად მეტმა მცხოვრებმა —1981 წლის თებერვალში მოწყობილ გამოკითხვასთან შედარებით — ბირთვული ომის საფრთხეს უწოდა „ნომერ პირველი პრობლემა“. გამოკითხულთა უმრავლესობამ ნეგატიური შეფასება მისცა თეთრი სახლის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, დაგმო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობისადმი პრეზიდენტ რეიგანის მიდგომა, რომელიც, მათი აზრით, მხოლოდ აძლიერებს ბირთვული ომის საფრთხეს. გამოკითხვის მონაწილეთა 80 პროცენტმა მხარი დაუჭირა არსებული ბირთვული არსენალების დაუყოვნებლივ გაყინვას.

ᲕᲔᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

სოციალისტური ქვეყნების დელეგაციები მოელიან, რომ დასავლელი მონაწილენი უახლოეს ხანში საქმიან და კონსტრუქციულ პასუხს გასცემენ მათი ახალი წინადადებების კომპლექსს, ხაზი გაუსვა დასასრულ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენელმა. ეს საშუალებას მოგვცემს უკვე მომდინარე წელს მივაღწიოთ რეალურ დადებითს შედეგებს ვენის მოლაპარაკებაზე.

მაგრამ ამავე სხდომაზე დასავლეთის სახელით გამოსულ ნიდერლანდის წარმომადგენელს კონსტრუქციული პასუხი არ გაუცია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა წინადადებაზე. მეტიც, იგი ცდილობდა გამოეყენებინა ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალისტების მიერ მოწყობილი სამხრეთ კორეის თვითმფრინავთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ანტისაბჭოთა პროვოკაცია ვენის მოლაპარაკების გასართულებლად. სოციალისტური ქვეყნების დელეგაციებმა გადაჭრით უკუაგდეს ეს უღირსი გამოხდომა.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ-ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ. ჩინეთში დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის კ. უაინბერგერის ვიზიტი. პეკინში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას მან განაცხადა, რომ ჩინეთ-ამერიკის მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში იყო ჩინეთისათვის თანამედროვე ამერიკული ტექნოლოგიის, მათ შორის ეგრეთ წოდებული „ორმაგი გამოყენების“, ანუ როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო მიზნებით გამოსაყენებელი შეიარაღების გადაცემის საკითხები. როგორც მან თქვა, მხარეებმა განიხილეს აგრეთვე ორი ქვეყნის სამხედრო უწყებათა „ურთიერთობის მექანიზმი“.

ამერიკელმა მინისტრმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერთან ჯაო ძიანთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარესთან და სიაომინთან თავის შეხვედრებსა და მოლაპარაკებას „მეგობრული და სასარგებლო“ უწოდა. მან განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ჯან აიბინგა მიიღო წინადადება ეწვიოს ვიზიტად ამერიკის შეერთებულ შტატებს.

30 სექტემბერი

ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘ

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲣᲤᲧᲔᲑᲐ

ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადება საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და პრესის უურადღების ცენტრშია. აქვეყნებენ რა ამ დოკუმენტს, საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის კურსის უცვლელი მიზანია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება, დაძაბულობის შენელება, გამლეგებული შეიარაღების ალაგმვა, სახელმწიფოთა თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება. აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირის აზრები და მისწრაფებანი ხორცს ისხამს იმ კონკრეტული წინადადებით, რომ მივაღწიოთ გადამწყვეტ შემობრუნებას უკეთესობისაკენ საერთაშორისო ვითარებაში, დავიცვათ ქვეყნად მშვიდობა.

ი. ვ. ანდროპოვის განცხადება, წერს ბულგარული **„რაბოტნიჩესკო დელო“**, ღირსეული, ღრმად დასაბუთებული პასუხია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მილიტარისტულ მისწრაფებებსა და აგანტიურისტულ პოლიტიკაზე, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას. ამ უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტში უდიდესი სიცხადით არის დადასტურებული მშვიდობისადმი სსრ კავშირის მტკიცე ნება. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეები თავიანთი საშიში კაცმოძულე პოლიტიკის დასაბუთების მიზნით ცილისწამების კორიანტელს აყენებენ საბჭოთა კავშირის, სოციალიზმის წინააღმდეგ, ამასთან ტოს თვით პრეზიდენტი რეიგანი იძლევა. მაგრამ სოციალიზმი მტრების ყველა ცილისწამებლური რი გამოხდომა ბათილდება იმ ფაქტების წინაშე, რომლებიც ადასტურებს, რომ სოციალიზმი და მშვიდობა განუყოფელია.

საბჭოთა კავშირი განუხრელად ადგას სამშვიდობო კურსს, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). სსრ კავშირის მიაჩნია, რომ გამლეგულ შეიარაღებას შეიძლება და კიდეეაც უნდა მოეღოს ბოლო. ამავე დროს იგი წერს, თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობის ნების მიუხედავად ამერიკის ბირთვული რაკეტები განთავსდება ევროპის კონტინენტზე — ეს იქნება მშვიდობის საქმისადმი პრინციპული მასშტაბის მტრული ნაბიჯი. საბჭოთა ხელმძღვანელმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთ წოდებული „მოქნილობა“ ქინევის მოლაპარაკებაზე სხვა არა არის რა, თუ არა მოტყუება. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს იმ წრეებს, რომლებსაც სურთ ჟენევის მოლაპარაკება მოაქციონ წინასწარ დაპროგრამებულ ჩიხში, უნდა ახსოვდეთ: საბჭოთა კავშირი შეძლებს ყოველგვარ პირობებში უზრუნველყოს საკუთარი უშიშროება და თავისი მეგობრობისა და მოკავშირეების უშიშროება.

საბჭოთა კავშირი, რომელიც სახავს ევროპაში ბირთვული შეიარაღების—როგორც სტრატეგიული, ისე საშუალო სიშორის შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების შორსგამიზნულ წინადადებებს, წერს უნგრული **„ნეფსაბადშაგი“**, ზრუნავს არა მარტო სსრ კავშირის, სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოებ ი ს უშიშროებისათვის, არამედ ყველა სხვა ხალხის უშიშროებისათვისაც.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას, ეს არის მილიტარიზმით გამსჭვალული პოლიტიკა, რაც იმითაც ვლინდება, რომ ვაშინგტონს არ სურს რამდენადმი სერიოზული მოლაპარაკება აწარმოოს გამალებული შეიარაღების ალაგმვის პრობლემებზე. საბჭოთა კავშირი მოუწოდებს მსოფლიოს ხალხებსა და მთავრობებს, ყველაფერი იღონონ ბირთვული კატასტროფის თვიდან აცილებისათვის.

გაზეთი **„ნიუ-იორკ ტაიმსი“**, რომელიც აქვეყნებს ი. ვ. ანდროპოვის განცხადების სრულ ტექსტს, წერს: მეტად უჩვეულო და მტკიცე კილოთი შედგენილ განცხადებაში საბჭოთა ხელმძღვანელი შეეხო რეიგანის ადმინისტრაციის დროს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მეორე კომპლექსს. მოსკოვი გვაფრთხილებს, რომ ამერიკული რაკეტების გასლაგება ევროპაში მშვიდობის საქმისადმი გადადგმული მტრული ნაბიჯი იქნება. საბჭოთა ხელმძღვანელმა რეიგანის ადმინისტრაციას ბრალად დასდო, რომ სამხედრო პოტენციალის არნახული ზრდა, ამერიკის სამხედრო ყოფნის გაფართოება მთელ მსოფლიოში და ამერიკის შეერთებული შტატების ცდები, მხარი დაუჭერინოს თავისი მილიტარისტული კურსისათვის დასავლეთ ევროპასა და იაპონიას, საფრთხეს უქმნის მშვიდობას. ამავე დროს ი. ვ. ანდროპოვმა დაადასტურა, რომ სსრ კავშირი ესწრაფვის ამერიკის შეერთებულ შტატებთან მშვიდობიან ურთიერთობებს, ურთიერთმისაღებ შეთანხმებათა მიღწევას ყინვების მოლაპარაკებაზე პრეზიდენტ რეიგანის ეგრეთ წოდებული ახალი სვლა, რომელიც პრაქტიკულად არაფრით არ გამოირჩევა ამერიკის წინანდელი წინადადებებისაგან.

ამავე დროს **ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა** გაავრცელა „განცხადება“, რომელშიც ერთხელ კიდევ სცადა ჩირქი მოეცხო სსრ კავშირისათვის, დაეშახინჯებინა მისი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის არსი, სხვებისათვის გადაებრალებინა სსრ კავშირის საჰაერო სივრცეში შემოგზავნილი სამხრეთ კორეის ჯაშუშ თვითმფრინავში მყოფ ადამიანთა დაღუპვა. სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება მოწმობს, რომ ვაშინგტონი აპირებს ევროპაში საშუალო სიშორის ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ჟენევაში მიმდინარე მოლაპარაკებაზე კვლავაც დაიკ



ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲜᲯᲐᲠᲐ



ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲛ ᲡᲐᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲣᲛᲐᲪᲘᲜᲔᲚᲘ ᲙᲘᲔᲕᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, ᲩᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲘ ᲗᲘᲛᲝᲗᲔᲣᲠᲐᲖ ᲐᲤᲐᲖᲐᲖᲐᲕᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲠᲪᲚᲔᲑᲚᲔᲣᲠᲖᲔ (ᲛᲐᲠᲯᲮᲜᲘᲜᲐ); ᲐᲛᲯᲐᲛᲐᲓ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ, ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲚᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜ ᲭᲣᲚᲐᲗ ᲝᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜ ᲩᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲘ ᲗᲘᲛᲝᲗᲔᲣᲠᲐᲖ ᲐᲤᲐᲖᲐᲖᲐᲕᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲠᲪᲚᲔᲑᲚᲔᲣᲠᲖᲔ (ᲛᲐᲠᲯᲮᲜᲘᲜᲐ); ᲐᲛᲯᲐᲛᲐᲓ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲜᲐᲗᲐ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜ ᲩᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲘ ᲗᲘᲛᲝᲗᲔᲣᲠᲐᲖ ᲐᲤᲐᲖᲐᲖᲐᲕᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲠᲪᲚᲔᲑᲚᲔᲣᲠᲖᲔ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘ